მირიან ხუხუნაიშვილის ბიოგრაფია

2019 წლიდან, მირიან ხუხუნაიშვილი თბილისის ახალგაზრდული ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორია.

2019 წლის ზაფხულში, მირიანი თბილისის ახალგაზრდულ ორკესტრთან ერთად მიწვეულ იქნა ბაროუქის პირველ საერთაშორისო კონკურსზე სან მარინოს რესპუბლიკაში, როგორც კონკურსის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი.

2017-2018 წლებში, მირიანი მიწვეული იყო კონსერვატორიის ორკესტრის მთავარ დირიჟორად.

მირიანმა დააარსა ქართული საპროექტო ორკესტრი, რომელსაც მოგვიანებით ეწოდა „ალტერ ორკესტრი“, რომელთანაც 30-ზე მეტი კონცერტი ჩაატარა 2014 წლიდან.

მირიან ხუხუნაიშვილს უდირიჟორია ისეთ კოლექტივებთან, როგორიცაა: საქართველოს ეროვნული ორკესტრი, თბილისის სიმფონიური ორკესტრი, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრი და გუნდი, საფრანგეთის რადიოს ფილარმონიული ორკესტრი, მაკედონიის ფილარმონიული ორკესტრი, ქ. ჟეშუვის ფილარმონიული ორკესტრი (პოლონეთი), ბეთჰოვენის აკადემიის ორკესტრი (პოლონეთი), *საქართველოს სინფონიეტა,* საქართველოს ეროვნული კაპელა და სხვა.

მირიანს ჰქონდა საშუალება ემუშავა მსოფლიოში ცნობილ მუსიკოსებთან, მათ შორის: ელისო ვირსალაძე, პაატა ბურჭულაძე, ნინო მაჩაიძე, ალექსანდ ბუზლოვი.

მირიანს მოპოვებული აქვს არაერთი მნიშვნელოვანი სტიპენდია, მათ შორის: საქართველოს პრეზიდენტის (2009/2010/2011), მარია კაჩინსკას სახელობის (2011-2013), ფონდ „იავნანას“, საქართველოს კულტურის სამინისტროს.

მას გავლილი აქვს მასტერკლასები ცნობილ პოლონელ და გერმანელ დირიჟორებთან.

მირიან ხუხუნაიშვილი სადოქტორო ხარიხს დაიცავს 2020 წლის თებერვალში, კრაკოვის მუსიკის აკადემიაში (პრომოტორი პროფ. სტანისლავ კრავჩინსკი).

2020 წელს შედგება მირიან ხუხუნაიშვილის **დებიუტი ვენის მუზიკფერაინსა და ბერლინის კონცერტჰაუსში**.